№ 00000092

18/04/2024

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

პროფესიულ პროგრამების შეფასების მეთოდების,
შეფასების ეტაპებისა და
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე
მიღების გამოცხადების ვადების შესახებ

შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ს დებულების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის 1.16-ე ქვეპუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 12 აპრილის ბრძანებების MES 9 24 0000422938, MES 5 24 0000422943, MES 7 24 0000421937 და აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 18 აპრილის №00003878 სამსახურეობრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს მიღება პროფესიული ტესტირებით, 2024 წლის მიღებისათვის, შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- **ფარმაცია**, მეხუთე დონე მოდულური, 42 ადგილზე, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის მისაღები ადგილის რაოდენობად განისაზღვროს 1. სწავლების ფორმა - კოლეჯში სწავლება;
- **საექთნო საქმე**, მეხუთე დონე მოდულური, 32 ადგილზე, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის მისაღები ადგილის რაოდენობად განისაზღვროს 1. სწავლების ფორმა - კოლეჯში სწავლება;
- **ლოგისტიკა**, მეოთხე დონე მოდულური, 160 ადგილზე, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის მისაღები ადგილის რაოდენობად განისაზღვროს 1. სწავლების ფორმა - კოლეჯში სწავლება, პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
- **ლოგისიტკა**, მეოთხე დონე მოდულური, 20 ადგილზე, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის მისაღები ადგილის რაოდენობად განისაზღვროს 1. სწავლების ფორმა - კოლეჯში სწავლება;
- **კომპიუტერული ქსელი და სისტემები**, მეოთხე დონე მოდულური, 74 ადგილზე, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის მისაღები

ადგილის რაოდენობად განისაზღვროს 1. სწავლების ფორმა - კოლეჯში სწავლება, პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

- **კომპიუტერული ქსელი და სისტემები**, მეოთხე დონე მოდულური, 18 ადგილზე, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის მისაღები ადგილის რაოდენობად განისაზღვროს 1. სწავლების ფორმა - კოლეჯში სწავლება;
- **სკოლამდელი განათლება,** მეხუთე დონე მოდულური, 18 ადგილზე, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის მისაღები ადგილის რაოდენობად განისაზღვროს 1. სწავლების ფორმა - კოლეჯში სწავლება;
- **საბაჟო საქმის (ქართულენოვანი),** მეხუთე დონე მოდულური, 26 ადგილზე, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის მისაღები ადგილის რაოდენობად განისაზღვროს 1. სწავლების ფორმა - კოლეჯში სწავლება;
- **ბუღალტრული აღრიცხვა,** მეხუთე დონე მოდულური, 6 ადგილზე, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის მისაღები ადგილის რაოდენობად განისაზღვროს 1. სწავლების ფორმა - კოლეჯში სწავლება,
- **ფინანსები**, მესამე დონე მოდულური, 25 ადგილზე, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის მისაღები ადგილის რაოდენობად განისაზღვროს 1. სწავლების ფორმა - კოლეჯში სწავლება,
- **შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები,** მეხუთე დონე მოდულური, 137 ადგილზე, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის მისაღები ადგილის რაოდენობად განისაზღვროს 1. სწავლების ფორმა - კოლეჯში სწავლება,

2. სკოლამდელი განათლების, ფარმაციის, საექთნო საქმის, საბაჟო საქმის, ბუღალტრული აღრიცხვის, ლოგისტიკის, კომპიუტერული ქსელი და სისტემებისა და შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილებით „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ განსაზღვრული პროცედურების გავლის საფუძველზე აქვს ნებისმიერ პირს, რომელსაც დაძლეული აქვს სრული ზოგადი განათლება (12 კლასი) ან აქვს უფრო მაღალი საფეხურის განათლება.
3. ფინანსების, კომპიუტერული ქსელი და სისტემების (ინტეგრირებული) და ლოგისტიკის (ინტეგრირებული) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილებით „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ განსაზღვრული პროცედურების გავლის საფუძველზე აქვს ნებისმიერ პირს, რომელსაც დაძლეული აქვს საბაზო ზოგადი განათლება (9 კლასი) ან აქვს უფრო მაღალი საფეხურის განათლება, "ფინანსების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, რომელსაც დაძლეული აქვს საბაზო ზოგადი განათლება (9 კლასი) და არანაკლებ 17 წელი";
4. აპლიკანტის მიერ დოკუმენტების წარდგენა ჩარიცხვის შემთხვევაში:
ა) განცხადება პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ (წერილობით გამოხატული ნება);
ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში მეურვის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამ პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი);
გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) სამხედრო მიწერის მოწმობის ასლი (ვაჟებისთვის).
5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ანკეტა-კითხვარის შევსების ვადა განსაზღვროს **2024 წლის 18 აპრილის ჩათვლით,**
6. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაცია დაიწყოს **2024 წლის 22 აპრილს და დასრულდეს 2024 წლის 16 მაისს;**
7. აკადემიაში მომართვის შემთხვევაში აპლიკანტთა რეგისტრაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში განახორციელოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სამსახურის სპეციალისტი **ირაკლი ლოლაძე;**
8. სასწავლო პროცესი დაიწყოს **2024 წლის 16 სექტემბერს;**
9. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ აპლიკანტის ჩარიცხვის შემთხვევაში, რომელმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით, აკადემია ამ პირთათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლებას იწყებს ქართული ენის მოდულით;
10. ამ ბრძანების მე-9 პუნქტის მიხედვით ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს, ქართული ენის მოდულის (A2/B1) სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით, განცხადების წარმოდგენის ვადა განესაზღვროს **2024 წლის 27 სექტემბერის ჩათვლით,** ქართული ენის მოდულის (A2/B1) სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით შეფასება განხორციელდეს **2024 წლის 30 სექტემბერს,** შეფასების შედეგები პროფესიულ სტუდენტებს ეცნობოთ არაუგვიანეს **20 24 წლის 01 ოქტომბრისა,** შეფასების შედეგების გასაჩივრების თარიღად განისაზღვროს **2024 წლის 04 ოქტომბერი;**
11. ამ ბრძანების მე-10 პუნქტის მიხედვით, თუ პროფესიული სტუდენტი დაადასტურებს ქართული ენის მოდულის (A2/B1) სწავლის შედეგებს, ის სასწავლო პროცესს იწყებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად ქართული ენის მოდულის (A2/B1) გავლის გარეშე;
12. ამ მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით, გაცდენილი მეცადინეობების აღდგენის ორგანიზება უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა;
13. სასწავლო პროცესის ხანგრძლივობა განისაზღვროს:

- საექთნო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - 32 თვე;
- სკოლამდელი განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე -22 თვე;
- საბაჟო საქმის (ქართულენოვანი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - 20 თვე;
- ფარმაციის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - 22 თვე
- ლოგისტიკის (ინტეგრირებული) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - 33 თვე;
- ლოგისტიკის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - 21 თვე;
- კომპიუტერული ქსელი და სისტემების (ინტეგრირებული) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - 33 თვე;
- კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - 18 თვე;
- ფინანსების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - 15 თვე;
- ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - 19 თვე;
- შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - 23 თვე;

14. ამ ბრძანების მე-13 პუნქტით განსაზღვრული პროგრამების ხანგრძლივობა შეიცვლება იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, ვინც სწავლას დაიწყებს „ქართული ენა A2 და „ქართული ენა B1“ მოდულებით;
15. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 და მე-4 დონის პროგრამების აპლიკანტებისთვის განხორციელდება შიდა შეფასება - **წერითი დავალების შესრულება, ტესტირება -„რაოდენობრივი წიგნიერება“;**

16. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა შერჩევა წარიმართება პრაქტიკული მოსინჯვის საფუძველზე;
17. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 და მე-4 დონის აპლიკანტების შეფასება განხორციელდება საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ში MS.Forms-ის ელექტრონულ ფორმატში;
18. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 და მე-4 დონის შეფასების კომისიის მიერ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრა 50 ქულიანი დავალებიდან 8 (რვა) ქულის მოპოვება;
19. ბრძანების საჯაროობა უზრუნველყოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სამსახურმა;
20. დაევალოს შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსს, თეა მაისურაძეს, ინფორმაციის ასახვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემაში, დადგენილი წესით;
21. დაევალოს აკადემიის საქმისწარმოების სპეციალისტს, ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა;
22. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

ია ერაძე
დირექტორი